

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის მინისტრის  
ბრძანება №01-31/ნ  
2011 წლის 15 ივნისი ქ. თბილისი**

**ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის  
საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი და საქართველოს  
ტერიტორიიდან გასატანი სამკურნალო საშუალებების ოდენობების  
განსაზღვრის შესახებ**

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 111<sup>3</sup> მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის სამკურნალო საშუალებების (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და მასთან გათანაბრებული ფარმაცევტული პროდუქტის) მათ შორის, დაურეგისტრირებელი მედიკამენტებისა, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს ტერიტორიიდან გატანა განისაზღვროს სამკურნალო საშუალებათა შემდეგი ოდენობის მიხედვით: *(8.07.2014 N01-49/ნ ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს)*

ა) სამედიცინო დოკუმენტაციის გარეშე ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის არა უმეტეს ათი სტანდარტული შეფუთვისა წამლის მოქმედების მიმართ, მისი პირადი პასუხისმგებლობით;

ბ) თუ ფიზიკურ პირს სხვა ქვეყანაში ვიზიტის (მივლინება, მკურნალობა, ტურიზმი, პირადი მიწვევა და სხვა) პერიოდში ესაჭიროება სამკურნალო საშუალება ათ სტანდარტული შეფუთვაზე მეტი ოდენობით, მაშინ სამკურნალო საშუალების საჭირო რაოდენობით ქვეყანაში შემოტანა ან ქვეყნიდან გატანა ხორციელდება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე, სამკურნალო საშუალების დღიური დოზის გადაანგარიშებით სხვა ქვეყანაში ვიზიტის დღეების რაოდენობაზე;

გ) თუ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს ესაჭიროება სამკურნალო საშუალება ათ სტანდარტული შეფუთვაზე მეტი ოდენობით, მაშინ სამკურნალო საშუალების საჭირო რაოდენობით ქვეყანაში შემოტანა ხორციელდება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე, სამკურნალო საშუალების დღიური დოზის გადაანგარიშებით მკურნალობის კურსზე.

1<sup>1</sup>. ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე: *(8.07.2014 N01-49/ნ ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს)*

ა) სამკურნალო საშუალების დღიური დოზის გადაანგარიშებით ფიზიკური პირის სხვა ქვეყანაში ვიზიტის (მივლინება, მკურნალობა, ტურიზმი, პირადი მიწვევა და სხვა) დღეების რაოდენობაზე;

ბ) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის შემთხვევაში სამკურნალო საშუალების დღიური დოზის გადაანგარიშებით მკურნალობის კურსზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა ხორცილდება საფოსტო გზავნილის მეშვეობით, შემოტანილი ან გასატანი სამკურნალო საშუალებები საგადასახადო ორგანოების მიერ ექვემდებარება ჩამორთმევას და განადგურებას:

ა) პირველადი შეფუთვის არარსებობისას;

ბ) პირველადი შეფუთვის მთლიანობის დარღვევისას;

გ) იმ შემთხვევაში, თუ პირველადი შეფუთვის ეტიკეტირებიდან ვერ ირკვევა ფარმაცევტული პროდუქტის და მასში არსებული აქტიური სუბსტანცი(ებ)ის დასახელება;

დ) სხვა შემთხვევებში, როდესაც ფარმაცევტულ პროდუქტს დაკარგული აქვს სასაქონლო სახე.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის სამკურნალო საშუალებების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 11 დეკემბრის №247/ნ ბრძანება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის  
შემსრულებელი

*ი. გიორგობიანი*